# სუპერლიგა 2025-26

## დებულება

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ჩემპიონატის ჩატარების უფლება

1.1 ჩემპიონატის (შემდგომში "სუპერლიგა") ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს აა(ი)პ "საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია" (ს/ნ 204851838) (შემდგომში "ს.კ.ე.ფ").
1.2 წინამდებარე დებულება გარდა სუპერლიგის ჩემპიონატისა, ასევე ვრცელდება: საქართველოს თასზე და საქართველოს სუპერთასზე.

### მუხლი 2. ჩემპიონატის ჩატარების წესები

2.1 სუპერლიგა ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2.2 სუპერლიგის ყველა მონაწილე ვალდებულია, გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

### მუხლი 3. ჩემპიონატის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა

სუპერლიგის ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს ს.კ.ე.ფ, მისი საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით.

## თავი II. ჩემპიონატის ჩატარების მიზნები

### მუხლი 4. სუპერლიგის ჩატარების მიზნები

სუპერლიგის ჩემპიონატის ჩატარების მიზნებია:
- გუნდების კლასიფიკაცია;
- კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლება;
- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა გამოვლენა; - საქართველოს უძლიერესი გუნდების გამოვლენა მათი ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობისათვის;
- საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია.

# თავი III. გუნდებისა და მოთამაშეთა დაშვება სუპერლიგაში

## მუხლი 5. გუნდების დაშვების პირობები

5.1 გუნდები სუპერლიგაში დაიშვებიან (2024/2025 წლების სეზონის) ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით, წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პირობით და ს.კ.ე.ფ-ს გამგეობის გადაწყვეტილებით.
5.2 სუპერლიგაში მონაწილეობა თითოეულმა გუნდმა უნდა დაადასტუროს 2025 წლის 1 სექტემბრამდე.
5.3 გუნდი ვალდებულია, დაფაროს წინა სეზონ(ებ)ის ფინანსური დავალიანება ს.კ.ე.ფ-ს წინაშე (მათ შორის, იმ კლუბის (გუნდის) არსებული დავალიანება (გადაცემის მომენტში), ვისგანაც მიიღო/გადაეცა ადგილი სუპერლიგის გათამაშებაში) წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი არ დაიშვება სუპერლიგის მიმდინარე გათამაშებაში.
5.4 გუნდი ვალდებულია, შემოიტანოს სამონაწილეო თანხა 53 000 (ორმოცდაცამეტი ათასი) ლარი 2026 წლის 15 თებერვლამდე. გადაუხდელობის შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება ჯარიმა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
5.5 გუნდი ვალდებულია, 2025 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი დადგენილი ფორმით (აღნიშნული ფორმა წარმოდგენილია ვებ-გვერდზე: HTTPS:/FORM.SUPERLEAGUE.GE ) რომელშიც ჩაწერილ მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16 (თექვსმეტი)-ს, ასევე მთავარი მწვრთნელი, დამხმარე მწვრთნელი არაუმეტეს 3 (სამი) პირისა და სამედიცინო პერსონალი - არაუმეტეს 3 (სამი) პირისა.
5.6 თუკი გუნდი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს განაცხადს, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით ვერ მიიღებს სუპერლიგის 2025-2026 წლების სეზონში მონაწილეობას, მის ადგილს დაიკავებს სუპერლიგის ქვედა — „ა ლიგაში“ (იმ მომენტისთვის რიგითობის მიხედვით) წინ მყოფი გუნდი. სუპერლიგის გათამაშებაში ადგილის დათმობა (მონაწილეობის უფლების გადაცემა) სხვა კლუბისათვის (გუნდისათვის) დაუშვებელია ს.კ.ე.ფ—ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამასთან, ადგილის დათმობის შემთხვევაში, ადგილის მიმღები კლუბი (გუნდი) ავტომატურად მიიჩნევა ადგილის დამთმობი კლუბის (გუნდის) ფინანსურ სამართალმემკვიდრედ და მასზე გადადის ადგილის დამთმობი კლუბის (გუნდის) ყველა არსებული ფინანსური ვალდებულება ს.კ.ე.ფ—ის ან/და ს.კ.ე.ფ—თან დაკავშირებული მესამე პირების (მათ შორის FIBA-ს) წინაშე.

5.7 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის აუცილებელია შემდეგი ცნობების წარმოდგენა:

- პასპორტის ასლი, რომელზეც ნათლად ჩანს მფლობელის მოქალაქეობა, სრული სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი და ფოტოსურათი;
- თითოეული მოთამაშისთვის შევსებული ფიბა-ს სპეციალური ფორმა ინგლისურ ენაზე და ფიბა-ს მიერ დადგენილი ფინანსური მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- გათავისუფლების ფურცელი იმ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციიდან, რომლის კლუბშიც ასპარეზობდა მოთამაშე ბოლოს.

5.8 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეების ლიცენზირებისთვის გადასახადი შეადგენს 1000 (ათას) ლარს თითო მოთამაშისათვის.

5.9 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მწვრთნელის ლიცენზირების გადასახადი შეადგენს 800 (რვაას) ლარს თითო მწვრთნელისათვის.

5.10. სუპერლიგაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინამდებარე პუნქტში მითითებულ ს.კ.ე.ფ-ის საბანკო ანგარიშზე:

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:

საფოსტო: 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.

საბანკო: GE96BG0000000182449001

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ს/ნ 204851838

ტელეფონი: 032 23 53 84; 593 95 95 73; 599 21 22 11;

ელ. ფოსტა: GEOSUPERLEAGUE@GBF.GE

## მუხლი 6. მოთამაშეთა და მწვრთნელთა დამატება განაცხადში

6.1 სუპერლიგაში მონაწილე გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლა შესაძლებელია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.1.1 ა-ლიგის გუნდიდან სუპერლიგის გუნდში მოთამაშეთა გადასვლა შესაძლებელია 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.2 გუნდს უფლება აქვს, დაიმატოს სუპერლიგაში არალიცენზირებული (მოთამაშე, რომელსაც მიმდინარე სეზონის განმავლობაში არ უთამაშია არცერთ კლუბში, ან/და არ აკავშირებს კონტრაქტი არცერთ კლუბთან) საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოთამაშე, სუპერლიგის მსვლელობისას ნებისმიერ დროს, პლეიოფის დაწყებამდე არაუგვიანეს 3(სამი) კალენდარული დღით ადრე.

6.3 გუნდს უფლება აქვს, დაიმატოს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოასპარეზე ლიცენზირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშე (ლეგიონერი), იმ პირობით, რომ მას დაუმთავრდა არსებული კონტრაქტი და გააჩნია გათავისუფლების ფურცელი. მიმდინარე სეზონისათვის განაცხადში მოთამაშის დამატების ბოლო ვადაა 2026 წლის 31 იანვარი.

6.4 გუნდს უფლება აქვს, დაიმატოს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოასპარეზე საქართველოს მოქალაქეობის მქონე ლიცენზირებული მოთამაშე, იმ პირობით, რომ მას დაუმთავრდა არსებული კონტრაქტი და გააჩნია გათავისუფლების ფურცელი. მიმდინარე სეზონისათვის განაცხადში მოთამაშის დამატების ბოლო ვადაა 2026 წლის 31 იანვარი.

6.5 მოთამაშეზე გაცემული ლიცენზია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მოთამაშემ მონაწილეობა სუპერლიგის მატჩში, გუნდს ეთვლება 16-კაციან ლიმიტში. მის ნაცვლად დამატებითი ლიცენზია არ გაიცემა.

6.6 გუნდს შეუძლია სუპერლიგის მსვლელობისას ნებისმიერ დროს დაიმატოს არალიცენზირებული მწვრთნელი.

6.7 სუპერლიგის გუნდს ყოველი თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მოთამაშეები თავისი ასაკობრივი გუნდებიდან.

6.7.1 თუ სუპერლიგაში მოასპარეზე გუნდის 16 (თექვსმეტი) კაციანი განაცხადი შევსებულია, გუნდს უფლება აქვს, თამაშის განაცხადში შეიყვანოს მოთამაშე თავისი ასაკობრივი გუნდიდან.

6.7.2 სუპერლიგის გუნდს, რომელსაც არ ჰყავს ასაკობრივ ჩემპიონატებში გუნდები და 16 (თექვსმეტ) კაციან განაცხადში დარჩენილი აქვს თავისუფალი ადგილი, უფლება აქვს, დაიმატოს ასაკობრივი ჩემპიონატების სხვა გუნდებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) მოთამაშისა, დამატებული მოთამაშე გუნდს ჩაეთვლება 16 (თექვსმეტ) კაციან ლიმიტში.

6.7.3 სუპერლიგის კლუბის განაცხადში შეყვანილ მისივე გუნდის მოთამაშეს უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს 2 (ორ) ასაკობრივ ჩემპიონატში. ასაკობრივ ლიგაში მონაწილე კალათბურთელს უფლება აქვს თავისი ასაკობრივი კლუბის რიგებში ითამაშოს ორ ასაკობრივ ჩემპიონატში, მხოლოდ ერთი კლუბის სახელით. სუპერლიგის და ასაკობრივი კლუბების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ორს.

6.8 სუპერლიგის მონაწილე გუნდმა განაცხადში შესაძლებელია შეიყვანოს ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ა-ლიგაში ვერგასული გუნდის 2 (ორი) მოთამაშე, რომელსაც ექნება გათავისუფლების ფურცელი.

ის მოთამაშე რომელმაც ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ითამაშა სუპერლიგის გუნდიდან გადასვლის შემდეგ , თავის ყოფილ სუპერლიგის გუნდში ვერ დაბრუნდება.

**შენიშვნა:**

— მოთამაშე, რომელიც განსაზღვრულ ვადებში არის გუნდის განაცხადში დარეგისტრირებული (შეყვანილი) და არ აქვს წარმოდგენილი გათავისუფლების ფურცელი, ეკრძალება სუპერლიგის მატჩებში მონაწილეობის მიღება გათავისუფლების ფურცლის წარმოდგენამდე;

— იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლების ფურცელი წარმოდგენილია მოთამაშის განაცხადში დარეგისტრირების (შეყვანის) შემდეგ, მოთამაშემ ს.კ.ე.ფ—ის საერთაშორისო განყოფილებიდან დამატებით უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომ განაცხადში დარეგისტრირების ვადის ამოწურვის შემდეგ ოფიციალურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

6.10 სტუდენტური ლიგიდან სუპერლიგაში მოთამაშის დამატების ან რაიმე სახის ტრანსფერის მსურველებმა უნდა იხელმძღვანელონ სტუდენტური ლიგის დებულებით.

## მუხლი 7. გუნდის შემადგენლობა და ატრიბუტიკა

7.1 გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს და მატჩზე წარადგინოს გუნდის განაცხადში მითითებული არანაკლებ 10 (ათი) და არაუმეტეს 12 (თორმეტი) მოთამაშე. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის კლუბს დაეკისრება ჯარიმა 300 (სამასი) ლარის ოდენობით 10—ზე ნაკლები თითოეული მოთამაშისთვის, თითოეულ ჯერზე.

7.1.1 გუნდს (16 კაციანი) განაცხადში შეუძლია ჰყავდეს მაქსიმუმ 4 (ოთხი) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშე (ლეგიონერი). იმ შემთხვევაში, თუ გუნდს უკვე ჰყავს 4 (ოთხი) ლეგიონერი და 16-კაციანი განაცხადის ფარგლებში სურს 1 (ერთი) ან რამდენიმე ლეგიონერის ჩანაცვლება, გუნდი ვალდებულია ს.კ.ე.ფ-ს მიმართოს წერილობით და აცნობოს რომელ ლეგიონერს უშვებს გუნდიდან. ამავდროულად, გუნდი ვალდებულია ასეთ მოთამაშეზე გასცეს გათავისუფლების ფურცელი.

7.1.2 მატჩის მსვლელობისას გუნდს მოედანზე შეიძლება ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 3 (სამი) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშე.

7.1.3 მოთამაშე, რომელსაც ნატურალიზაციის გზით მიღებული აქვს საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა და არ უთამაშია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ჩაითვლება ლეგიონერის (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე) სტატუსის მატარებლად.

7.1.4 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, რომელიც მინიმუმ 3 (სამი) სეზონის მანძილზე თამაშობს სუპერლიგაში, არ ჩაითვლება ლეგიონერის სტატუსის მატარებლად.

7.2 თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ „სათამაშო ფორმის სტანდარტის“ მოთხოვნებს. (სათამაშო ფორმის სტანდარტი: იხილეთ მუხლში 71 და დანართი #1). გუნდი რომელიც სუპერლიგის და საქართველოს თასის შეხვედრებზე გამოვა

სავარჯიშო ფორმებით (რევერსებით) და არ ექნება სათამაშო ფორმა (სტანდარტების შესაბამისად) დაჯარიმდება 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით. ამასთან, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია ასეთი გუნდი არ დაუშვას თამაშზე ან/და არ დაიწყოს თამაში. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევ გუნდს აღნიშნული თამაში ჩაეთვლება წაგებად „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0).

7.2.1 ყველა გუნდი ვალდებულია მოთამაშის სათამაშო ფორმებზე, მაისურის წინა მხარეს ეწეროს მოთამაშის სათამაშო ნომერი, ხოლო უკანა მხარეს სათამაშო ნომერი და გვარი. ამასთან, სათამაშო ნომერი და მაისური უნდა იყოს კონტრასტული ფერის, რათა შესაძლებელი იყოს ნომრის აღქმა უშუალოდ სათამაშო მოედნიდან, ტრიბუნიდან ან/და ტელეეკრანებიდან. სათამაშო ფორმებთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები გათვალისწინებულია წინამდებარე დებულების მუხლი 71 და დანართი #1–ით. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი თამაშის შემდეგ გუნდი დაჯარიმდება 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით ყოველი ასეთი შემთხვევისათვის. ამასთან, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია ასეთი გუნდი არ დაუშვას თამაშზე ან/და არ დაიწყოს თამაში. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევ გუნდს აღნიშნული თამაში ჩაეთვლება წაგებად „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0).

7.2.2 ყოველი კლუბი ვალდებულია მისი სათამაშო ფორმები წინასწარ შეათანხმოს ს.ქ.ე.ფ–ის საშეჯიბრო დეპარტამენტთან. სათამაშო ფორმების შეთანხმების ვადას განსაზღვრავს საშეჯიბრო დეპარტამენტი ყოველი სეზონის დაწყების წინ.

7.3 თამაშის დროს, სათადარიგოთა სკამზე მყოფ მწვრთნელებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა წარმომადგენლებს უნდა ეცვათ ოფიციალური (კოსტუმი), ან კლუბის ბრენდირებული ეკიპირება.

7.4 იმ შემთხვევაში, თუკი თამაშში მონაწილეობას მიიღებს მოთამაშე ან მწვრთნელი, რომელსაც უნდა გამოეტოვებინა ასეთი თამაში დისკვალიფიკაციის გამო, გუნდს აღნიშნული თამაში ჩაეთვლება წაგებად „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0). ამასთან, კლუბს დაეკისრება სანქცია თითოეული ასეთი პირისათვის 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეულ დარღვევის ფაქტზე.

7.5 იმ შემთხვევაში, თუ მატჩის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე სხედან გუნდის წარმომადგენლები (მწვრთნელის ასისტენტები, სამედიცინო პერსონალი), რომელთაც უნდა გამოეტოვებინათ იგი დისკვალიფიკაციის გამო ან პირები, რომლებსაც არ აქვთ სათადარიგოთა სკამზე ყოფნის უფლება, ასეთ გუნდს დაეკისრება ჯარიმა 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

## მუხლი 71. ოფიციალური კალათბურთის წესები სათამაშო ფორმებთან დაკავშირებით

71.1 გუნდის ყველა წევრის ფორმა უნდა შედგებოდეს შემდეგისგან:

— ყველა გუნდს უნდა ჰქონდეს ორი ფერის ფორმა (ერთი ღია ფერის და ერთი მუქი ფერის);

— ერთი და იმავე დომინანტური ფერის მაისურები და შორტები (წინა და უკანა მხრიდან). იმ შემთხვევაში თუ მაისურებს აქვს სახელოები, ისინი უნდა იყოს იდაყვამდე სიგრძის. აკრძალულია მოთამაშის თამაში გრძელსახელოიანი მაისურით;

— ყველა მოთამაშეს მაისური ჩატანებული უნდა ჰქონდეს შორტებში. დასაშვებია „კომბინეზონები“;

— დაუშვებელია მაისურის ქვეშ T-მაისურების ტარება, მათი სტილის მიუხედავად;

— შორტები უნდა იყოს იმავე ფერის, რა ფერისაც მაისური (წინა და უკანა მხრიდან). ამასთან, შორტები უნდა იყოს მუხლამდე სიგრძის;

— გუნდის ყველა წევრს უნდა ეცვას ერთი და იგივე დომინანტური ფერის წინდები. ამასთან, წინდები უნდა იყოს ისეთი სიგრძის, რომ ჩანდეს.

71.2 გუნდის ყველა წევრს უნდა ეცვას მაისური, კონტრასტული ფერის ნომრით, მაისურის წინა და უკანა მხარეს:

— ნომრები უნდა ჩანდეს მკაფიოდ და ამასთან, ზურგზე ნომრის სიმაღლე უნდა იყოს სულ არანაკლებ 16 (თექვსმეტი) სმ;

— წინა მხარეს ნომრის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 8 (რვა) სმ;

— ნომრების სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 2 (ორი) სმ;

— ნებადართულია მხოლოდ ნომრების გამოყენება 0 და 00, ასევე 1-დან 99-ის ჩათვლით;

— დაუშვებელია ერთი გუნდის წევრებს ჰქონდეთ ერთი და იგივე ნომრები;

— მაისურზე ან/და შორტზე არსებული ნებისმიერი რეკლამა ან/და ლოგო არანაკლებ 4 (ოთხი) სმ-ით უნდა იყოს დაშორებული ნომრისგან;

— ყველა მოთამაშეს მაისურის უკანა მხარეს უნდა ეწეროს გვარი ქართული ასოებით (გვარის გამოსახვა უცხო ქვეყნის ასოებით დასაშვებია მხოლოდ ს.კ.ე.ფ—თან წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში).

71.3 სხვა აღჭურვილობა:

71.3.1 მოთამაშეების მიერ თამაშის დროს გამოყენებული ყველა აღჭურვილობა ადეკვატური უნდა იყოს თამაშისთვის. აკრძალულია ნებისმიერი აღჭურვილობა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაზარდოს მოთამაშის სიმაღლე ან წვდომა ნებისმიერი სხვა გზით, რაც იძლევა უსამართლო უპირატესობას;

71.3.2 ერთი გუნდის ყველა მოთამაშეს ფორმის შიგნით უნდა ეცვას/ეკეთოს ერთი და იგივე ფერის (თეთრი ან შავი) მანჟეტები, ბანდაჟები და სხვ (შემდგომში „დამატებითი ეკიპირება“). დაუშვებელია რომელიმე მოთამაშეს ან/და ერთი გუნდის მოთამაშეებს ეცვათ/ეკეთოთ სხვადასხვა ფერის დამატებითი ეკიპირება;

71.3.3 მოთამაშეები არ უნდა ატარებდნენ აღჭურვილობას (ობიექტებს), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა მოთამაშეების დაშავება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე,

აკრძალულია:

– თითების, ხელის, მაჯის, იდაყვის ან წინამხრის დამცავი ფარები, ჩაფხუტები, მისაკრავები, რომლებიც დამზადებულია ტყავის, პლასტიკის, მოქნილი (რბილი) პლასტმასის, ლითონის ან სხვა მაგარი მასალებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ რბილი საფარი აქვს;

– ობიექტები, რომლებიც შეიძლება იყოს მჭრელი ან აბრაზიული (მათ შორის მოთამაშის ფრჩხილები მოკლედ უნდა იყოს მოჭრილი);

– თმის აქსესუარები და სამკაულები.

ნებადართულია:

– მხრების, მკლავის, თეძოს ან ფეხის დამცავი აღჭურვილობა, თუ მათ სათანადო რბილი საფარი აქვს;

– მკლავის და ფეხის კომპრესიული სახვევები;

– ჩაფხუტი, რომელიც არ უნდა ფარავდეს სახის რაიმე ნაწილს, მთლიანად ან ნაწილობრივ (თვალებს, ცხვირს, ტუჩების და ა.შ.) და არ უნდა იყოს დამზადებული მყარი მასალისაგან და სახიფათო იმ მოთამაშისთვის, რომელიც მას ატარებს ან/და სხვა მოთამაშეებისთვის. ჩაფხუტს არ უნდა ჰქონდეს ასაკეცი/ჩამოსაკეცი ელემენტები სახის ან/და კისრის გარშემო და არ უნდა ჰქონდეს რაიმე ნაწილები, რომლებიც ამოშვერილია მისი ზედაპირიდან;

– მუხლის მისაკრავები;

– ტერფის მისაკრავები;

– დაშვებულია ცხვირის დამცავი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დამზადებულია მყარი მასალისგან;

– უფერო, გამჭვირვალე პირის დამცავი;

— სათვალე, თუ ის საფრთხეს არ უქმნის სხვა მოთამაშეებს;
— მაჯის და თავის სახვევები (მაქსიმუმ 10 (ათი) სმ სიგანის), დამზადებული ტექსტილის მასალისაგან. ამასთან, სახვევები დასაშვებია მხოლოდ მაჯაზე და არა წინამხარზე ან მკლავზე);
— მკლავების, მხრების, ფეხების და ა.შ. სახვევები.

შენიშვნა: კლუბის მიერ წინამდებარე დებულების 71 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია ასეთი გუნდი არ დაუშვას თამაშზე ან/და არ დაიწყოს თამაში. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევ გუნდს აღნიშნული თამაში ჩაეთვლება წაგებად „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0) და დაეკისრება ჯარიმა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით ყოველი ასეთი შემთხვევისათვის.

## თავი IV. ჩემპიონატის ჩატარების სამართლებრივი ასპექტები

### მუხლი 8. „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის“ უფლებები

სუპერლიგის თამაშებში მონაწილე გუნდებმა უნდა აღიარონ ს.კ.ე.ფ-ის შემდეგი უფლებები:
8.1 სუპერლიგის, თასის გათამაშების და „ყველა ვარსკვლავთა“ თამაშების ტელეტრანსლაციებზე.
8.2 საავტორო, მარკეტინგული და სალიცენზიო უფლებები სუპერლიგის ლოგოზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დევიზსა და დასახელებაზე, სავაჭრო ნიშნებსა და სავაჭრო მარკებზე.
8.3 ს.კ.ე.ფ-ის მიერ დამზადებულ პოლიგრაფიულ, სუვენირულ, თუ სხვა სახის პროდუქციაზე განთავსებულ რეკლამაზე.
8.4 ტელე, ვიდეო და ფოტომასალის გამოყენებაზე, რომლებიც ასახავს სუპერლიგის მატჩებს, ერთიანად თუ ცალ-ცალკე, მოთამაშეთა გამოსახულების ჩათვლით.
8.5 ს.კ.ე.ფ-ის უფლებას, მისი შეხედულებისამებრ, ჩართოს სუპერლიგის კლუბების მოთამაშეები, მწვრთნელები და გუნდის სხვა წარმომადგენლები მისი და მისი სპონსორების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში (მაგ: ვიდეო კონტენტი, საპრომოუშენო აქტივობები და ა.შ.).
შენიშვნა: თუ კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და სუპერლიგის კლუბების/გუნდების სპონსორი კომპანიების საქმიანობის სფერო იქნება იდენტური და გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს სათამაშო მოედანზე, მოედნის პერიმეტრსა და დარბაზის სხვა ბრენდირებისას უპირატესობა მიენიჭება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სპონსორ კომპანიას.

## მუხლი 9. გუნდის უფლებები

სუპერლიგის მსვლელობისას თითოეულ გუნდს უფლება აქვს:

9.1 საშინაო მატჩები ჩაატაროს საკუთარ სპორტულ დარბაზში (თუ გუნდს ასეთი გააჩნია, დარბაზი აკმაყოფილებს „კალათბურთის ოფიციალურ წესებში“ აღნიშნულ მოთხოვნებს და დამტკიცებულია ს.კ.ე.ფ-ის სპეციალური კომისიის მიერ).

9.2 საშინაო მატჩებზე მოახდინოს ბილეთების რეალიზაცია.

9.3 დამოუკიდებლად განკარგოს სახსრები, რომლებსაც მიიღებს საშინაო მატჩების დროს საკუთარი უფლებების რეალიზაციით.

9.4 სათამაშო მოედნის პერიმეტრსა და სათამაშო იატაკის სარეკლამო ადგილების გამოყენების უფლებების შესახებ იხილეთ დანართი #2 – „სათამაშო მოედნის სტანდარტი“.

9.5 ფლობდეს ინფორმაციას სუპერლიგის სპონსორების შესახებ.

9.6 სუპერლიგაში მონაწილე რეგიონის გუნდებისათვის, რომლებიც თამაშობენ საშინაო შეხვედრებს, რეგიონში (საკუთარ დარბაზში), სასპონსორო ბანერების პროცენტულობა განისაზღვროს შემდეგნაირად: 60 (სამოცი) პროცენტი მასპინძელ გუნდს 40 (ორმოცი) პროცენტი ფედერაციის სპონსორებს.

9.7 სუპერლიგაში მონაწილე თბილისის გუნდებს, რომლებიც თამაშობენ საშინაო შეხვედრებს: საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ წინასწარ შერჩეულ დარბაზებში, სასპონსორო ბანერების პროცენტულობა განისაზღვროს შემდეგნაირად: 60 (სამოცი) პროცენტი ფედერაციის სპონსორებს, 40 (ორმოცი) პროცენტი მასპინძელ გუნდს.

9.8 გუნდები ვალდებულნი არიან საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის სპონსორებისთვის გამოყოფილი ბანერებისთვის, კონსტრუქციები ააწყონ თავიანთი ხარჯებით.

9.9 წინამდებარე დებულების 9.6, 9.7 და 9.8 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გუნდი თითოეულ დარღვევის ფაქტზე დაჯარიმდება 1000 (ათასი) ლარით.

## მუხლი 10. გუნდის ვალდებულებები

სუპერლიგის თამაშების ჩატარებისას თითოეული გუნდი ვალდებულია, შეასრულოს შემდეგი პირობები:

10.1 ხელშეკრულებების და შეთანხმებების გაფორმებისას აცნობოს სპონსორებს მათზე გადაცემული უფლებამოსილებების მოცულობა.

10.2 სპონსორებთან ხელშეკრულების გაფორმებისას, აცნობოს მათ არსებულ შეზღუდვებზე.

10.3 უზრუნველყოს გუნდის მონაწილეობა საქართველოს თასის გათამაშებაში.  წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი დაჯარიმდება 3000 (სამი ათასი) ლარით.
10.4 გამოყოს “ს.კ.ე.ფ”-ს 30 (ოცდაათი) ადგილი თითოეულ მატჩზე იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის, ევროპის თასების და სხვა საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები.
10.4.1  მასპინძელი გუნდი ვალდებულია გამოყოს სტუმარ გუნდს დარბაზში ტრიბუნის ტევადობის მინიმუმ 15% თითოეულ მატჩზე იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის (სუპერლიგა), საქართველოს თასის, საქართველოს სუპერთასის საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გუნდს დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევისათვის.
10.5 წარადგინოს “ს.კ.ე.ფ”-ში გუნდის ოფიციალური რეგისტრირებული სიმბოლიკა.
10.6 წარმოადგინოს მოთამაშეებთან გაფორმებული ხელშეკრულების (კონტრაქტების) ასლები.
10.7 ს.კ.ე.ფ-ის შეტყობინებისთანავე უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა აუცილებელი დასწრება სუპერლიგის მატჩისწინა და მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციებზე.
10.8 უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა მიერ ინტერვიუს მიცემა სუპერლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების მიმდინარეობისას.
10.9 წინამდებარე დებულების 10.7 და 10.8 პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით თითოეული დარღვევის ფაქტზე.
10.10 მოთამაშეს, რომელსაც მატჩისწინა მოთელვაზე და გუნდის წარდგენაზე არ ეცმევა გუნდის სათანადო ფორმა, თამაშზე არ დაიშვება.

## თავი V. მოთხოვნები კლუბის (გუნდის) მიმართ

### მუხლი 11. მოედანი და აღჭურვილობა

11.1 სპორტული ნაგებობები და აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს „კალათბურთის ოფიციალურ წესებში“ აღწერილ მოთხოვნებს.
11.2 სუპერლიგის თამაშები გაიმართება “ს.კ.ე.ფ”-ის საგანგებო კომისიის მიერ მოწონებულ სპორტულ დარბაზებში. დარბაზის ტევადობა — მინიმუმ 150 (ასორმოცდაათი) დასაჯდომი ადგილი.
11.2.1. ყველა კლუბი ვალდებულია დაიცვას მატჩში მონაწილე პირების (მოთამაშეები და მსაჯები) უსაფრთხოება მატჩის მიმდინარეობისას, რის უზრუნველსაყოფადაც მასპინძელი კლუბი ვალდებულია სათამაშო მოედანი (პარკეტი, ფარი და სხვ.) ჰქონდეს გამართულ და

უსაფრთხო მდგომარეობაში, რაც გულისხმობს, რომ ფარი უნდა იყოს მყარად დამაგრებული ფარის დამჭერზე (ყველა არსებული დამჭერით), ფარს გარშემო (კუთხეებზე და კიდეებზე) უნდა ჰქონდეს სპეციალური რბილი დამცავი, რათა მოთამაშეებმა არ მიიღონ ტრავმა ფართან შეჯახების/მიჯახების დროს, პარკეტი უნდა იყოს პროფესიონალურად დაგებული, ყოველგვარი დამატებითი დამჭერების (ხრახნების, წებვადი ლენტების და სხვ.) გარეშე და სხვ. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მასპინძელ კლუბს პირველ ჯერზე დაეკისრება ჯარიმა 5 000 (ხუთი) ათასი ლარის ოდენობით. მეორე ჯერზე დაეკისრება ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ჯერზე კლუბს აეკრძალება საშინაო მატჩის აღნიშნულ დარბაზში ჩატარების უფლება, მანამ სანამ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად არ იქნება შესრულებული.

11.3 სუპერლიგის მატჩები ჩატარდება „MOLTEN“-ის ფირმის „MOLTEN 4550” (SIZE 7) მოდელის ბურთებით. სხვა მოდელის და ფირმის ბურთების წარმოდგენის შემთხვევაში, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია არ დაიწყოს თამაში და მოითხოვოს ბურთის გამოცვლა. ამასთან, მასპინძელ გუნდს დაეკისრება ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევისათვის.

11.4 თამაშის მსვლელობისას მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მსაჯთა მაგიდის და გუნდების სკამების მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტრიბუნაზე, რათა მსაჯ–მდივნებს არ ეშლებოდეთ ხელი მათი მოვალეობების შესრულებაში. ხოლო ფოტო/ვიდეო გადაღება და აღნიშნულისათვის საჭირო აპარატურის ან/და ჟურნალისტების განთავსება სათამაშო ფარების უკანა პერიმეტრზე, სამი მეტრის რადიუსში დაუშვებელია.  ამასთან, აღნიშნული ადგილი მკვეთრად უნდა იყოს შემოსაზღვრული/მონიშნული შესაბამისი ამკრძალავი ნიშნებით. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მატჩის მთავარი არბიტრი უფლებამოსილია არ დაიწყოს ან შეაჩეროს მატჩი მანამ, სანამ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ იქნება დაცული. ამასთან, მასპინძელ კლუბს შესაძლოა დაეკისროს სანქცია მომდევნო თამაშ(ებ)ის გულშემატკივრების გარეშე ჩატარებასთან დაკავშირებით.

11.5 საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია კომპანიების — ჯენიუს სპორტ-ისა და სინერჯის-ის ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფს ყველა მატჩის ვიდეოგადაღებას და მათ ტრანსლირებას ლაივ-რეჟიმში. რეგიონებში, მასპინძელი გუნდი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კომპანიის (GENIUS SPORTS) დამონტაჟებული აპარატურის უსაფრთხოება და მათი ჩართვა-გამორთვა თამაშის დღეს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში) ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევისათვის.

11.5.1. სუპერ ლიგის, საქართველოს თასისა, ფლეი აუტის  და მემორიალების  ფინალური შეხვედრების პირდაპირ ტრანსლირებას ახორციელებს ს.კ.ე.ფ–ის საშეჯიბრო დეპარტამენტი. იმ შემთხვევებში, თუ რეგიონებში ნებისმიერი მიზეზის გამო ვერ ხერხდება აღნიშნული ტურნირების გადაღება, მასპინძელი გუნდი ვალდებულია 1 (ერთი) კამერით უზრუნველყოს

სრული მატჩის ვიდეოგადაღება და ვიდეოჩანაწერი გაუგზავნოს ს.კ.ე.ფ—ის საშეჯიბრო დეპარტამენტს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გუნდს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველი დარღვევისათვის.

11.6 კლუბი ვალდებულია, მსაჯ-მდივნების მაგიდა აღჭურვოს შემდეგი ინვენტარით:

- სტატისტიკის პროგრამის მუშაობისთვის 1 (ერთი) კომპიუტერი და 1 (ერთი) პრინტერი;
- მსაჯთა მაგიდაზე განთავსებული და კომპანია GENIUS SPORTS-ის ტექნიკური ინვენტარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი მაღალი სიჩქარის ინტერნეტით;
- ვიდეო—რეფერის ორგანიზებისათვის გამოყოს ცალკე მაგიდა, ეკრანი და HDMI კაბელი.

11.7 მასპინძელი გუნდი ვალდებულია, იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის (სუპერლიგა), საქართველოს თასის, საქართველოს სუპერთასის,ფლეი აუტის და სხვა საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჰყავდეს არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) დაცვის თანამშრომელი, რომლებიც არიან საქართველოში რეგისტრირებული დაცვის კომპანიის თანამშრომლები. რაოდენობა მოცემულია რეკომენდაციის სახით და შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ან/და მითითებულზე/მოთხოვნილზე ნაკლები დაცვის პერსონალის ყოლის შემთხვევაში, მასპინძელ კლუბს დაკისრება ჯარიმა 2 500 (ორი ათას) ხუთასი ლარის ოდენობით თითოეულ დარღვევის ფაქტზე ან/და მითითებულზე ნაკლებ თითოეულ დაცვის თანამშრომელზე.

11.7.1 მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ მატჩზე უზრუნველყოს მინიმუმ 2 (ორი) დამლაგებლის დასწრება (ყოფნა), რომლებიც მატჩის დაწყებამდე ან/და მატჩის მსვლელობისას უზრუნველყოფენ სათამაშო მოედნის (იატაკის) მოწმენდას, მსაჯის მითითების საფუძველზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის თუ დამლაგებლების რაოდენობა იქნება წინამდებარე პუნქტში მითითებულზე ნაკლები), თითოეული დარღვევის ფაქტისათვის კლუბს დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

11.8. სეზონის დაწყებამდე (პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარებამდე), კლუბი ვალდებულია სპორტსმენს ჩაუტაროს ფუნქციური სამედიცინო შემოწმება და ს.კ.ე.ფ—ის სამედიცინო დეპარტამენტში წარმოადგინოს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია. კვლევები უნდა ჩატარდეს განაცხადში მყოფ ნებისმიერ მოთამაშეზე, მათ შორის იმ მოთამაშეებზეც, რომლებსაც კლუბი დაიმატებს სეზონის მსვლელობისას. ასევე, იმ მოთამაშეებზე, რომლებმაც ასაკობრივ ან ეროვნულ ნაკრებში გაიარეს შემოწმება.

ფუნქციური სამედიცინო შემოწმების აუცილებელი მინიმალური კრიტერიუმები:

1. ეკგ
2. კარდიო ექოსკოპია
3. მუცლის ღრუს და საშარდე გზების ექოსკოპია

4. დატვირთვის ტესტი ტრედმილზე
5. ანამნეზიდან გამომდინარე დამატებითი კვლევები, თუ კლუბის ექიმი ჩათვლის საჭიროდ.
6. სისხლის საერთო ანალიზი

11.8.1. თითოეული კლუბი  და კლუბის ექიმი ვალდებულია  სპორტსმენს დაუგეგმოს გამოკვლევები, განიხილოს თითოეული მოთამაშის ჯანმრთელობის მდგომარეობა და იყოს პასუხისმგებელი მათ ჯანმრთელობაზე. კლუბმა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ს.ქ.ე.ფ–ის სამედიცინო დეპარტამენტში არაუგვიანეს 7 ოქტომბრისა.

11.8.2. იმ შემთხვევაში თუ  10 ოქტომბრის ჩათვლით კლუბის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, კლუბი ერთჯერადად დაჯარიმდება 3000 ლარით და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით. ამასთან, მოთამაშეს არ მიეცემა თამაშის საშუალება სუპერლიგის და თასის შეხვედრებში, მანამ სანამ კლუბის მიერ არ იქნება წარმოდგენილი აღნიშნული მოთამაშისათვის ჩატარებული ფუნქციური სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი შესაბამის დოკუმენტაცია.

11.9 იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ დაიწყება (მატჩის დაწყება დაგვიანდება) ს.ქ.ე.ფ–ის მიერ განსაზღვრულ დროს, მატჩში მონაწილე იმ კლუბს რომლის გამოც გვიანდება მატჩის დაწყება/არ იწყება მატჩი დაეკისრება ჯარიმა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

11.10 წინამდებარე დებულების 11.6  პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევის ფაქტისათვის (მათ შორის თითოეულ მოთამაშეზე).

## მუხლი 12. გასვლითი შეხვედრები

მასპინძელმა გუნდმა სტუმარ გუნდს ან/და მატჩის მომსახურე ოფიციალურ პირებს (მსაჯებს, კომისარს, მსაჯ–მდივანს) უნდა გამოუყოს:

12.1 სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე, ტრანსპორტი მატჩის ჩატარების ქალაქის სადგურში ან აეროპორტში დახვედრისა და გაცილებისთვის, აგრეთვე ვარჯიშზე, მატჩზე და უკანა მიმართულებით მისაყვანად.   ამასთან, ტრანსპორტის ხარჯების გადახდის ვალდებულება ეკისრება სტუმარ გუნდს. სტუმარი გუნდი ვალდებულია წინასწარი განაცხადი გააკეთოს მასპინძელი გუნდის ქალაქში (რეგიონში) ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუკი სტუმარი გუნდი არ გააკეთებს წინასწარ განაცხადს, ან გააკეთებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევით (დაგვიანებით), სტუმარი გუნდი ვალდებულია ტრანსპორტის საკითხები გადაწყვიტოს თავად, დამოუკიდებლად.

12.2 სასტუმროს ნომრები, სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე. სასტუმროს ხარჯების გადახდის ვალდებულება ეკისრება სტუმარს გუნდს. სტუმარი გუნდი ვალდებულია წინასწარი განაცხადი გააკეთოს მასპინძელი გუნდის ქალაქში (რეგიონში)

ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუკი სტუმარი გუნდი არ გააკეთებს წინასწარ განაცხადს, ან გააკეთებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევით (დაგვიანებით), სტუმარი გუნდი ვალდებულია ტრანსპორტის საკითხები გადაწყვიტოს თავად, დამოუკიდებლად.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი განაცხადი გაკეთდა დროულად, მაგრამ მასპინძელმა კლუბმა დაარღვია 12.1. ან/და 12.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება(ებ)ი, მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევის ფაქტზე.

12.4 სპორტული დარბაზი ვარჯიშებისთვის თამაშის დაწყებამდე არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათისა (არანაკლებ 1 (ერთი) საათით) და თამაშის დღეს არაუგვიანეს 7 (შვიდი) საათისა (არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) წუთი) იმ დარბაზში, სადაც იმართება მატჩი.

12.5 6 (ექვსი) სათამაშო ბურთი ვარჯიშებისთვის.

12.6 სასმელი წყალი(ყოველი თამაშისთვის 1 (ერთ) გუნდზე გაანგარიშებით 16 (თექვსმეტი) ცალი 0,5-ლიტრიანი ბოთლი).

12.7 თამაშების დროს, ადგილები სათამაშო დარბაზში შეჯიბრების მონაწილეთათვის (სტუმარი გუნდის ოფიციალური წარმომადგენლებისათვის (დელეგაციისათვის)), არანაკლებ 10 (ათი) ადგილისა.

12.8 გუნდების სათადარიგოთა სკამის ზონები:

12.8.1 გუნდების სათადარიგოთა სკამის ზონები მარკირებული უნდა იყოს სათამაშო მოედნის (პარკეტის) გარეთ. სათადარიგოთა სკამებზე განთავსებული უნდა იყოს მინიმუმ 16 სტანდარტული სიმაღლის დასაჯდომი, თითოეული გუნდის მთავარი მწვრთნელის, მწვრთნელის, მთავარი მწვრთნელის თანაშემწეების, სათადარიგო მოთამაშეების, თამაშიდან გაყვანილი მოთამაშეებისა და კლუბის თანმხლები დელეგაციის წევრებისთვის. ამასთან, ნებისმიერი სხვა პირ(ებ)ი აღნიშნული ადგილიდან სულ მცირე 2 (ორი) მეტრით უნდა იყვნენ დაშორებული.

12.8.2. სათადარიგოთა სკამების უკან ან ბოლოებში (ადგილის მიხედვით), განთავსებული უნდა იყოს მაგიდები, წყლის, პირსახოცების და სხვ. ინვენტარის დასადებად.

12.8.3 მატჩის დაწყებამდე მატჩის კომისიის წევრებს უნდა გადაეცეთ გუდების შემადგენლობის და გუნდის პერსონალის სია. გარდა აღნიშნულ სიაში არსებული პირებისა, სხვა ნებისმიერ პირს ეკრძალება ტაიმ–აუტის ან/და მოთამაშეთა ცვლილებისას აღნიშნულ ზონაში შესვლა.

12.9 მოთამაშეთა და მსაჯების გასახდელები:

12.9.1 მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯების გასახდელებში (გასახდელი), რომ:

— გასახდელი უნდა იყოს დასუფთავებული, იატაკი მოწმენდილი და მშრალი;

— საპირფარეშოები უნდა იყოს დასუფთავებული, იატაკი მოწმენდილი და მშრალი. აღჭურვილი საპნით, ტუალეტის ქაღალდით, ხელის გასამშრალებელი ხელსახოცით და სხვა ჰიგიენის საშუალებებით;

— გასახდელები აღჭურვილი უნდა იყოს მინიმუმ 5 (ხუთი) სკამით, ტანსაცმლის საკიდებითა და ტანსაცმლის შესანახი კარადებით, რომლებიც იკეტება გასაღებით;

— ორივე გუნდის მოთამაშეებისათვის და მსაჯებისათვის სათამაშო დარბაზში არსებული გასახდელები უნდა იყოს გამოყოფილი განცალკევებით, იმავე დარბაზში გასამართი სხვა სპორტის სახეობებისაგან, რათა მოთამაშეებსა და მსაჯებს არ უხდებოდეთ სხვა სპორტსმენებისა თუ მსაჯების ლოდინი. ამასთან, მოთამაშეებისა და მსაჯების გასახდელები წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ კონდიციაში მოყვანილი უნდა იყოს არაუგვიანეს მატჩის დაწყებამდე 90 (ოთხმოცდაათი) წუთით ადრე და მოთამაშეებსა და მსაჯებს არაუგვიანეს მატჩის დაწყებამდე 90 (ოთხმოცდაათი) წუთით ადრე უნდა ჰქონდეთ საშუალება თავისუფლად და შეუფერხებლად ისარგებლონ გასახდელებით;

-

— ამასთან, აკრძალულია ნებისმიერი პირის (მოთამაშე, მწვრთნელი, კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები, მაყურებლები და სხვ.) მსაჯთა გასახდელში შესვლა თამაშის დაწყებამდე, თამაშის მიმდინარეობისას ან/და თამაშის დასრულების შემდეგ. გამონაკლისია, მხოლოდ შემთხვევა, როდესაც მსაჯები თავად ითხოვენ, რომელიმე პირის მათ გასახდელში შესვლას (გასახდელის დალაგების ან/და რაიმე სახის ინვენტარის, პროექტორის ან/და წყლის მიწოდების მიზნით).

12.10 12.4-12.9 პუნქტ(ებ)ით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევისთვის, მასპინძელ კლუბს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევისათვის.

12.11 მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩის მსაჯებს, მსაჯ–მდივნებსა და კომისარს თითოეულ მატჩზე გამოუყოს 4 (ოთხი) ბოთლი 1.5 (ლიტრ–ნახევარი) ლიტრი წყალი და ერთჯერადი ჭიქები (მინიმუმ 10 (ათი) ცალი).

12.12 მასპინძელი გუნდი ვალდებულია თამაშის დასრულების შემდგომ, უზრუნველყოს მსაჯების, კომისრის და მსაჯ– მდივნებისთვის კვება (საკუთარი სახსრებით).

12.13 მასპინძელი გუნდის მიერ 12.11 ან/და 12.12 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მასპინძელ გუნდს დაეკისრება ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული შემთხვევისათვის.

## მუხლი 13. სუპერლიგის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები

13.1 მასპინძელი კლუბი პასუხისმგებელია, სუპერლიგის თამაშის მსვლელობისას, მისი მონაწილეების (ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლები, კომისარი, მსაჯები, მსაჯი-მდივნები, მწვრთნელები, გუნდის წარმომადგენლები) უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე თამაშის ჩატარების ფონაში მის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ.  წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, კლუბს თითოეულ ასეთ შემთხვევაზე დაეკისრება ჯარიმა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

13.2 თამაშის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმაში უნდა შედიოდეს:

13.2.1 ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, მსაჯი-მდივნების, სტუმარი გუნდის წარმომადგენლების, მწვრთნელების, სამედიცინო პერსონალის, მოთამაშეების დაცვა, მათი აეროპორტში (სადგურში) ჩასვლის მომენტიდან; აგრეთვე, მათი თანხლება საცხოვრებელ და მატჩის ჩატარების ადგილებამდე;

13.2.2 ზემოაღნიშნული პირების დაცვა მატჩის დამთავრების შემდეგ, მათი თანხლება საცხოვრებელ და გასამგზავრებელ ადგილებამდე;

13.2.3 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება თამაშის ჩატარების ფონაში მის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ;

13.2.4 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება ს.კ.ე.ფ-ს წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, სტუმარი გუნდების მწვრთნელების, მოთამაშეების და სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელ ადგილზე;

13.2.5 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა გატარება დარბაზში გუნდებისა და მსაჯების განთავსების ადგილებში;

13.2.6 თამაშის ჩატარების ფონაში  (მოედანი (პარკეტი) და ტრიბუნები), ასევე გასახდელებსა და გასახდელების მიმდებარე ტერიტორიაზე (მათ შორის მსაჯების გასახდელებში) აკრძალულია:

- ალკოჰოლური სასმელების (გარდა ლუდისა (პლასტმასის ჭიქებით) გაყიდვა და მიღება;
- ნებისმიერი სახის სასმელის გაყიდვა და შეტანა მინის ბოთლებში;
- თამბაქოს მოწევა საგანგებოდ გამოყოფილი ადგილების გარდა;
- სათამაშო მოედანზე ნებისმიერი საგნის სროლა;
- მსაჯების, მოთამაშეების და მატჩის სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, მათ მიმართ მუქარა, სიტყვიერი თუ სხვა ნებისმიერი ფორმით.

13.2.7. წინამდებარე დებულების 13.2 პუნქტითა და მისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასპინძელ კლუბს. აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ყოველი დარღვევის ფაქტზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მასპინძელ კლუბს დაეკისრება გაორმაგებული ჯარიმა ან/და სანქცია მომდევნო თამაშ(ებ)ის გულშემატკივრების გარეშე ჩატარებასთან დაკავშირებით.

13.3 მატჩის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნათა არშესრულების შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ნებისმიერი სახის ინციდენტი, ს.კ.ე.ფ-ს გამგეობამ, საგანგებო გადაწყვეტილებით, შესაძლოა გამოიტანოს გადაწყვეტილება, როგორც საჯარიმო ფულადი სანქციების დაკისრების შესახებ, აგრეთვე:

- მომდევნო თამაშ(ებ)ის მაყურებელთა გარეშე ჩატარების შესახებ;
- მომდევნო თამაშ(ებ)ის ნეიტრალურ ან მეტოქის მოედანზე ჩატარების შესახებ.

13.4 რეგიონებში სუპერლიგის მატჩებზე ზემოთაღნიშნული უსაფრთხოების მოთხოვნების მიუხედავად, ს.კ.ე.ფ უფლებამოსილია დამატებით უზრუნველყოს მატჩების მომსახურე მსაჯების და ოფიციალური პირების დაცვა, რა მიზნითაც თითოეულ მატჩზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახურის 2 (ორი) ან 3 (სამი) წარმომადგენელი (დამატებითი დაცვის სამსახური), ხოლო მასპინძელი გუნდის ხელმძღვანელობა ვალდებულია აღნიშნულ პირებს მისცეს უფლება და შესაძლებლობა შეუფერხებლად გადაადგილდნენ დარბაზში. ამასთან, ადგილობრივმა დაცვამ და დამატებითი დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა მატჩის უსაფრთხოდ ჩატარება უნდა განახორციელონ ურთიერთშეთანხმებით.

## მუხლი 14. კლუბის მიერ ს.კ.ე.ფ—ისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია

ყოველი კლუბი ვალდებულია ს.კ.ე.ფ.—ს არაუგვიანეს 2025 წლის 01 სექტემბრისა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

14.1 განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

14.2 ცნობა სასამართლოდან, რომ კლუბის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;

14.3 ცნობა შემოსავლების სამსახურიდან კლუბის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ;

14.4 ცნობა მომსახურე ბანკიდან (ბანკებიდან) კლუბის საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ყადაღის/აკრძალვის/ინკასოს/შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

14.5  ფედერაციის მიერ დაფინანსებული თანხის გასული სეზონის ხარჯების ჩამონათვალის შევსებული ფორმა, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს დამოუკიდებელი აკრედიტირებული აუდიტორის მიერ (აღნიშნული დოკუმენტის ფორმა და სტრუქტურა ექსელის ფორმატში იხილეთ დანართი N 4—ის სახით). ამასთან, ს.კ.ე.ფ უფლებამოსილია აუდიტირებული დოკუმენტის შესახებ ჩაატაროს საკუთარი აუდიტი,

ხოლო კლუბი ვალდებულია ს.კ.ე.ფ–ს მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია და მისცეს უფლება აღნიშნული აუდიტის შეუფერხებლად ჩატარებისათვის.
14.6 ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ კლუბის მიმართ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
14.7. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კლუბი არ დაიშვება სუპერლიგის გათამაშებაში.
14.7.1. 14.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ს.კ.ე.ფ უფლებას იტოვებს არ დაუშვას კლუბი სუპერლიგის გათამაშებაში ან/და შეუჩეროს დაფინანსება.
შენიშვნა: საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის „სუპერლიგასა" და „ა"-ლიგაში მონაწილე კლუბი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – ა(ა)იპ–ს (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს).
- „სუპერლიგის" და „ა ლიგის" გუნდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან მხოლოდ ის გუნდები, რომლებიც წარმოადგენენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – ა(ა)იპ–ს (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს).
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ჩემპიონატის „სუპერლიგის" და/ან „ა"-ლიგის მონაწილე კლუბებს არ შეიძლება ჰყავდეთ ერთი და იგივე დამფუძნებელი/წევრი ფიზიკური ან იურიდიული პირი

## თავი VI. მოთხოვნები ჩემპიონატის მონაწილეთა მიმართ

### მუხლი 15. მწვრთნელები, გუნდის წარმომადგენლები

15.1 თამაშის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა, ორივე გუნდის მწვრთნელები ვალდებულია მატჩის კომისარს წარუდგინოს ტექნიკური განაცხადი. მატჩზე დოკუმენტების წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.
15.2 თამაშის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება აქვთ მხოლოდ თამაშის ოქმში შეყვანილ მოთამაშეებს (12 (თორმეტი) მოთამაშე), მწვრთნელთა შტაბის არაუმეტეს 4 (ოთხი) წარმომადგენელს და მედპერსონალის არაუმეტეს 3 (სამ) წარმომადგენელს.
15.3 თამაშის დამთავრების მაუწყებელი ფინალური სასტვენის შემდეგ, ორივე გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე/თანაშემწეები და გუნდის სხვა წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ დატოვონ მოედანი და არ ეკამათონ ან/და არ შევიდნენ კომუნიკაციაში/კონტაქტში მსაჯ(ებ)თან, მატჩის კომისართან,

მაყურებლებთან. მათ შორის წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება გასახდელებში ან/და გასახდელებამდე მისასვლელ დერეფნებსა და დარბაზის მთელ ტერიტორიაზე.
15.4 გუნდი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მოთამაშის თუ მოთამაშეების მონაწილეობა ჩემპიონატის მსვლელობისას გასამართ “ყველა ვარსკვლავის მატჩში”, თუ გუნდის წევრები მოხვდებიან “ყველა ვარსკვლავის მატჩის“ განაცხადში.
15.5 წინამდებარე დებულების 15.2–15.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის კლუბს დაეკისრება ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევის ფაქტზე.

## მუხლი 16. მსაჯები, კომისრები და მსაჯ-მდივნები

16.1 სუპერლიგის თამაშები ტარდება ფიბა-ს მიერ დამტკიცებული „კალათბურთის ოფიციალური წესების“ და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
16.2 თამაშების მომსახურებისთვის შესაძლებელია დაინიშნონ მხოლოდ ს.კ.ე.ფ-ის მსაჯთა განყოფილების
მიერ მოცემული სეზონისთვის ლიცენზირებული მსაჯები და კომისრები.
16.3 სუპერლიგის თითოეულ თამაშს ემსახურება 2 (ორი) ან 3 (სამი) მსაჯი, კომისარი და მსაჯ-მდივანთა ბრიგადა.
16.4 სუპერლიგის თამაშებისას მსაჯ-მდივანთა ბრიგადა შედგება მაქსიმუმ 8 (რვა) წევრისაგან:
- ანგარიშდამთვლელი;
- დროის ოპერატორი;
- 24 წამის ოპერატორი;
- დროის დამთვლელი (ტაბლო) ოპერატორი;
- მსაჯი-ინფორმატორი;
- ორი ან სამი მდივან-სტატისტიკოსი.

16.5 მატჩის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) წუთისა, კომისარი ვალდებულია შეამოწმოს გუნდის განაცხადი და მასში შეყვანილ მოთამაშეთა, მწვრთნელთა და სამედიცინო პერსონალის ფოტოსურათების შესაბამისობა მათ ვინაობასთან. თუ კომისარი თამაშზე დაუშვებს მოთამაშეს, მწვრთნელს ან სამედიცინო პერსონალს, რომლებიც არ არიან შეყვანილნი გუნდის განაცხადში, მაშინ მას მიეცემა დისკვალიფიკაცია ს.კ.ე.ფ-ის მსაჯთა განყოფილების და „სუპერლიგის“ საშეჯიბრო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ვადით.

16.6 მატჩის შემდეგ კომისარი ავსებს ანგარიშს დადგენილი ფორმით, უთითებს მასში დამრღვევებს, დებულების დარღვეულ მუხლებს, მსაჯ-მდივანთა მუშაობის ნაკლოვანებებს. იმავე ანგარიშში კომისარი ახასიათებს მსაჯებს და უწერს მათ შეფასებას. კომისრის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის, მათ შორის დებულების დარღვევის ფაქტების დაფარვის შემთხვევაში, კომისარი ჩამოშორდება სუპერლიგის მატჩების მომსახურებას „სუპერლიგის" საშეჯიბრო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ვადით.
16.7 იმ შემთხვევაში, თუ თამაშის მსვლელობის დროს დარბაზში ელექტროენერგიის მიწოდება რამდენჯერმე შეწყდება და გათიშვის საერთო დრო აღემატება 40 (ორმოცი) წუთს, თამაში შეწყდება, გადაიდება მომდევნო კალენდარულ დღეს და დაიწყება გადადების მომენტისთვის არსებული ანგარიშიდან და დარჩენილი დროით. ამასთან:
- დარბაზში ხილვადობის არარსებობის შემთხვევაში მატჩის შეწყვეტის ან გაგრძელების გადაწყვეტილებას იღებენ უფროსი მსაჯი და კომისარი;
- შეხვედრის გადადებას, თავისი ხელმოწერით კომისრის ოქმში, ადასტურებს ორივე გუნდის მწვრთნელი;
- გასვლით მატჩებში გადადებული თამაშის შემთხვევაში გუნდის დაბინავებასთან და სხვა დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მასპინძელი გუნდი.
16.8 წინამდებარე დებულების 16.7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ კლუბს დაეკისრება ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ამასთან, გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით" (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0)

## თავი VII. სუპერლიგის ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

### მუხლი 17. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა და დრო

საქართველოს 2025-2026 წლების სეზონის სუპერლიგის ჩემპიონატში მონაწილეობს 11 (თერთმეტი) გუნდი.
სუპერლიგა ტარდება 2025 წლის 10 ოქტომბრიდან 2026 წლის 31 მაისამდე.
17.1 სუპერლიგა იმართება ორ ეტაპად.
17.2 პირველი ეტაპი (რეგულარული სეზონი):
17.2.1 გუნდები თამაშებს ატარებენ 2 (ორი) წრედ (მიმოსვლით), 1 (ერთი) მატჩი შინ და 1 (ერთი) მატჩი სტუმრად;

17.2.2 2 (ორი) წრის შედეგების მიხედვით 1-8 ადგილებზე გასული გუნდები გადიან პლეიოფში (მეოთხედფინალში).
17.2.3 მე-10 ადგილზე გასული გუნდი ითამაშებს გათამაშებას სუპერლიგაში დასარჩენად, ა-ლიგის 2025-2026 წლის სეზონში მე-2 ადგილზე გასულ გუნდთან — 3 (სამ) მოგებამდე;
17.2.4 მე-11 ადგილზე გასულ გუნდს სუპერლიგაში ჩაანაცვლებს ა-ლიგის 2025-2026 წლის სეზონის გამარჯვებული გუნდი.
შენიშვნა: რეგულარულ სეზონში გუნდი მოგების შემთხვევაში მიიღებს 2 (ორ) ქულას, ხოლო წაგების შემთხვევაში 1 (ერთ) ქულას. მატჩის ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი დრო (ოვერ ტაიმ(ებ)ი) მანამ სანამ მატჩში მონაწილე რომელიმე გუნდი არ გაიმარჯვებს.

17.3 მეორე ეტაპი (პლეი–ოფი):
17.3.1. სუპერლიგის 1-8 ადგილები გათამაშდება პლეი–ოფის სისტემით.

**1/4 ფინალი:**

- დაწყვილებული გუნდები თამაშობენ პლეი–ოფის სისტემით 3 (სამ) მოგებამდე.

გუნდები წყვილდებიან შემდეგნაირად:
I წყვილი: 1 და მე–8 ადგილზე გასული გუნდები;
II წყვილი: მე–2 და მე-7 ადგილზე გასული გუნდები;
III წყვილი: მე–3 და მე-6 ადგილზე გასული გუნდები;
IV წყვილი: მე–4 და მე-5 ადგილზე გასული გუნდები.
პირველი ორი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მესამე და მეოთხე (საჭიროების შემთხვევაში) მატჩები — წყვილში მეორედ მითითებული გუნდის მოედანზე. მეხუთე მატჩი (საჭიროების შემთხვევაში) წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე.

- წყვილებში გამარჯვებულები გაითამაშებენ 1-4 ადგილებს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება მეოთხედფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით (გუნდის გამარჯვებების რაოდენობის, მოპოვებული და გაშვებული ბურთების სხვაობის მიხედვით).

## 1/2 ფინალი

გუნდები ნახევარფინალს თამაშობენ პლეი-ოფის სისტემით 3 (სამ) მოგებამდე,
I წყვილის გამარჯვებული - IV წყვილის გამარჯვებული;
II წყვილის გამარჯვებული - III წყვილის გამარჯვებული.
პირველი ორი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მესამე და მეოთხე (საჭიროების შემთხვევაში) მატჩები — წყვილში მეორედ მითითებული გუნდის მოედანზე.
მეხუთე მატჩი (საჭიროების შემთხვევაში) წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე.
წყვილებში გამარჯვებულები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს, დამარცხებულები — 3-4 ადგილებს.

## ფინალი

წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს.
- დამარცხებული გუნდები გაითამაშებენ 3-4 ადგილებს.
- დაწყვილებული გუნდები 1-2 ადგილისთვის თამაშობენ პლეი-ოფის სისტემით 3 (სამ) მოგებამდე, ხოლო მე-3 ადგილისთვის - 1 (ერთ) მოგებამდე.

ფინალში პირველი ორი მატჩი გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში დაიკავა უფრო მაღალი ადგილი, მესამე და მეოთხე (საჭიროების შემთხვევაში) მატჩები — იმ გუნდის მოედანზე, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში დაიკავა უფრო დაბალი ადგილი. მეხუთე მატჩი (საჭიროების შემთხვევაში) გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში დაიკავა უფრო მაღალი ადგილი.
მესამე ადგილისათვის მატჩი გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში დაიკავა უფრო მაღალი ადგილი.

## მუხლი 171. მატჩის დაწყების პროცედურა და წესი

171.1 სათამაშო მოედანზე (პარკეტზე) გამოსვლისას, ორივე გუნდის ყველა მოთამაშემ და მსაჯ(ებ)მა ხელი უნდა ჩამოართვან ერთმანეთს. მასპინძელი გუნდის კაპიტანი აიღებს ოფიციალური თამაშის ბურთს შესაბამისი ბურთის დასადებიდან. აღნიშნულ დასადებს მატჩის ოფიციალური პირები გაიტანენ სათამაშო მოედნიდან, რის შემდეგმაც მოთამაშეები მწკრივში ჩადგებიან, ბურთის პირველი აგდებისთვის.

171.1.1 თუ მატჩის დაწყებამდე გათვალისწინებულია წუთიერი დუმილი გარდაცვლილი პირის ან ეროვნული გლოვის/ტრაგედიის პატივსაცემად, ორივე გუნდის მოთამაშეები და

მსაჯები უნდა დადგნენ წრეში, წუთიერის დუმილის დასრულებამდე, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ დაიწყებენ თამაშს.

171.2 სუპერლიგის ჩემპიონატის განრიგით გათვალისწინებული მატჩის დაწყების დროში გაწერილი პროცედურა (მაგალითი):

| | TIME | TIME TO TIP-OFF |
|---|---|---|
| COURT AVAILABLE FOR TEAMS, CLOCK STARTS | 19:00:00 | (01:00:00) |
| HORN SOUNDS & TEAMS TO BENCHES | | (00:07:30) |
| VISITING TEAM PRESENTATION | | (00:07:00) |
| HOME TEAM PRESENTATION | | (00:06:00) |
| TEAMS CONTINUE WARM-UP | | (00:05:00) |
| TEAMS TO BENCH AREA | | (01:30:00) |
| PLAYERS & REFEREES SHAKE HANDS | | (00:30:00) |
| TIP-OFF | 20:00:00 | (00:00:00) |

შენიშვნა: 171 მუხლით გათვალისწინებული პროცედურ(ებ)ის დარღვევისათვის დამრღვევ კლუბს დაეკისრება სანქცია (ფულადი ან/და დისციპლინური), რომლის სახესა და ოდენობასაც გადაწყვეტს ს.კ.ე.ფ—ის სადისციპლინო ტექნიკური კომისია.

## თავი VIII. „ს.კ.ე.ფ“-ის და კლუბების (გუნდების) ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

მუხლი 18. „ს.კ.ე.ფ“-ის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას
„ს.კ.ე.ფ“ იხდის:
18.1 თბილისის ოლიმპიური სასახლის იჯარის ხარჯებს.
18.2 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივანთა ბრიგადების მგზავრობის და მატჩის მომსახურების ხარჯებს.
18.3 სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს.

## მუხლი 19. კლუბის (გუნდის) ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

კლუბი (გუნდი) სუპერლიგის ჩატარებისას ფარავს:

19.1 გუნდის მივლინების ხარჯებს სუპერლიგის თამაშებზე.

19.2 სტუმარი გუნდი იმ ტრანსპორტის ხარჯებს, რომელიც სტუმარ გუნდს დახვდება სადგურში (აეროპორტში), მიიყვანს სასტუმროში, ვარჯიშზე, მატჩზე და უკან სასტუმროში, სადგურში (აეროპორტში).

19.3 მასპინძელი გუნდი იმ ტრანსპორტის ხარჯებს, რომელიც მსაჯებს, კომისარს დახვდება სადგურში (აეროპორტში), მიიყვანს სასტუმროში, სპორტულ დარბაზში და უკან სასტუმროში, სადგურში (აეროპორტში).

19.4 სტუმარი გუნდისთვის, მსაჯებისა და კომისრისთვის განკუთვნილი მინერალური წყლის ხარჯებს.

19.5 მასპინძელი გუნდი ვალდებულია აანაზღაუროს მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 2 (ორი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და 3-ჯერადი კვების ხარჯები.

19.6 თუ გუნდი ვერ უზრუნველყოფს 19.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (ობიექტური მიზეზების გამო) მას უფლება ეძლევა აღნიშნული ვალდებულებებისთვის საჭირო თანხა ჩარიცხოს ს.კ.ე.ფ-ის საბანკო ანგარიშზე.

# თავი IX. სადისციპლინო დარღვევები და სასჯელები

## მუხლი 20. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები

დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს „სადისციპლინო ტექნიკური კომისია“.

გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ. წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:

20.1 ტექნიკური ჯარიმები:

ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში, მოთამაშეს, ასევე მწვრთნელს ეკისრება ფულადი სანქცია 100 (ასი) ლარის ოდენობით. სეზონის განმავლობაში მე-4 ტექნიკური ჯარიმიდან ფულადი სანქცია განისაზღვრება ქვემოთ ჩამოთვლილი ოდენობით და დისკვალიფიკაციით:

მე-4 ტექნიკურისთვის - 300 ლარი; მე-8 ტექნიკურისთვის - 500 ლარი; მე-12 ტექნიკურისთვის - 1500 ლარი;

მე-5 ტექნიკურისთვის - 300 ლარი; მე-9 ტექნიკურისთვის - 500 ლარი; მე-13 ტექნიკურისთვის - 1500 ლარი;

მე-6 ტექნიკურისთვის - 300 ლარი; მე-10 ტექნიკურისთვის - 500 ლარი; მე-14 ტექნიკურისთვის - 1500 ლარი;

მე-7 ტექნიკურისთვის - 300 ლარი; მე-11 ტექნიკურისთვის - 1500 ლარი; მე-15 ტექნიკურისთვის - 1500 ლარი;

მე-16 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში აღნიშნული პირი დისკვალიფიცირდება 4 (ოთხი) მატჩით და დაჯარიმდება - 3000 ლარით:

მე-17 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში დისკვალიფიკაციის, ფულადი სანქციების და მისი ოდენობის ათვლა მოხდება ახლიდან, ზემოთ აღნიშნული რიგითობის მიხედვით.

შენიშვნა: ფინანსური სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ ეგრედწოდებული „ფეიკისთვის“ (FAKE).

შენიშვნა: წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელია კლუბი და შესაბამისად, აღნიშნული ჯარიმების გადახდის ვალდებულება ეკისრება კლუბს.

20.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:

20.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის, მწვრთნელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების მიერ ერთმანეთის მიმართ — დისკვალიფიკაციას ერთი (1—3 თამაშამდე) თამაშით და ჯარიმას ათასიდან (1000), სამი ათას (3000) ლარამდე.

20.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის — მოთამაშის დისკვალიფიკაცია ორიდან (2), ოთხ (4) თამაშამდე და ჯარიმა ორი ათასიდან (2000), ოთხი ათას (4000) ლარამდე.

20.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე (ან შემდგომი) მსგავსი დარღვევისთვის — დისკვალიფიკაცია სამიდან (3), ხუთ (5) თამაშამდე და ჯარიმა სამი ათასიდან (3000), ათი ათას (10 000) ლარამდე.

20.2.4. მსაჯის ან თამაშში მონაწილე ნებისმიერი პირის შეურაცხყოფა: რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად, ისჯება დისკვალიფიკაციით 3-დან 5 თამაშამდე.

20.2.5. იგივე ქმედება ჩადენილი მაყურებლის მიერ ისჯება 5,000 ლარიანი ჯარიმით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შემდეგი 2 (ორი) თამაშის მაყურებლის გარეშე ჩატარებით. აღნიშნულის დასადგენად გამოყენებული იქნება შეხვედრაზე მივლენილი კომისრის მიერ შედგენილი ოქმი.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელია კლუბი და შესაბამისად, აღნიშნული ჯარიმების გადახდის ვალდებულება ეკისრება კლუბს.

20.3 ფიზიკური შეურაცხყოფა:

20.3.1 „შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი“

20.3.1.1 ს.კ.ე.ფ-ის, მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ — დისკვალიფიკაცია სამიდან (3), ხუთ (5) თამაშამდე და ჯარიმა სამი ათასიდან (3000) შვიდიათას ( 7000) ლარამდე.

20.3.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის, მწვრთნელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების მიერ ერთმანეთის მიმართ — დისკვალიფიკაცია სამ (3) თამაშამდე და ჯარიმა სამი ათასიდან (3000) შვიდი ათას (7000) ლარამდე.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელია კლუბი და შესაბამისად, აღნიშნული ჯარიმების გადახდის ვალდებულება ეკისრება კლუბს.

20.3.2 „უხეში ფიზიკური შეურაცხყოფა“

20.3.2.1 ს.კ.ე.ფ-ის, მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ — დისკვალიფიკაცია ერთიდან (1) სამ (3) წლამდე და ჯარიმა შვიდი ათასიდან (7000) თხუთმეტი ათას (15 000) ლარამდე.

20.3.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის, მწვრთნელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების მიერ ერთმანეთის მიმართ — დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე და ჯარიმა სამი ათასიდან (3000) თხუთმეტი ათას (15 000) ლარამდე.

20.4 მსაჯის მიერ თამაშიდან გაძევებული: მოთამაშე, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე ან გუნდის თანმხლები პირის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის განხილვა მოხდება 24 (ოცდაოთხი) საათიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

20.5 დისციპლინარულ დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ხუთასი (500) ლარის ოდენობით.

20.6. იმ შემთხვევაში თუ მატჩის მსვლელობის დროს მსაჯი თამაშიდან გააძევებს (დისკვალიფიკაცია) მოთამაშეს ან მწვრთნელს, აღნიშნული გუნდის მენეჯერი ვალდებულია დისკვალიფიცირებული მოთამაშე ან მწვრთნელი, დისკვალიფიკაციის მიღებიდან 30 (ოცდაათი) წამის განმავლობაში  გაიყვანოს სათამაშო დარბაზის გარეთ ან გასახდელში. დისკვალიფიცირებულ პირს ეკრძალება სათამაშო დარბაზში დაბრუნება. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს მატჩი. ამასთან, ვალდებულების დამრღვევ კლუბს შესაძლოა ჩაეთვალოს წაგება „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0) და დაეკისროს დამატებით ფინანსური სანქცია. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ს.ქ.ე.ფ—ის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია.

20.7 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი, ექიმი) არასპორტული ქცევა:

20.7.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ — ითვალისწინებს ჯარიმას სამი ათასიდან (3000) ათი ათას (10 000) ლარამდე.

20.7.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ხუთი ათასიდან (5000) თხუთმეტი ათას (15 000) ლარამდე.

20.8 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:

-პირველი დარღვევისთვის — გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით“ (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0) და დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი (5000) ლარის ოდენობით.

- იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და დაეკისრება ჯარიმა 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

20.9 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულების მე—20 მუხლში, განიხილება და დგინდება სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის  მიერ.

20.10 განსაკუთრებულ შემთხვევაში, ს.ქ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, განიხილოს შემთხვევა და თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს ან შეამციროს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

20.11 გუნდის წევრებისათვის ან/და კლუბისათვის დაკისრებული, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმ(ებ)ის გადახდა კლუბის მიერ უნდა მოხდეს მათი

დაკისრებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გამავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი (მოთამაშე, მწვრთნელი და სხვ.) დაშვება მომდევნო თამაშზე.

20.12 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის) ხელმძღვანელობას,  განსაკუთრებულ შემთხვევაში სადისციპლინო კომისიას შეუძლია თანხის გადახდის ვადის გაგრძელება მაქსიმუმ 3 თვით.

20.13 ფინალურ და ნახევარ-ფინალურ ეტაპზე ყველა სახის ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო თამაშამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი (მოთამაშე, მწვრთნელი და სხვ.) დაშვება მომდევნო თამაშზე.

20.14 თამაშის მიმდინარეობის დროს სათამაშო მოედანზე, გუნდის ხელმძღვანელობის სათადარიგო მოთამაშეების, მწვრთნელების, ექიმების, შესვლა მსაჯის ნებართვის გარეშე ისჯება ორასიდან  (200) ხუთას  (500) ლარამდე თითოეული შემთხვევისათვის.

20.15 მოთამაშის ან/და გუნდის ოფიციალური პირის მიერ მაყურებლის წაქეზება ნებისმიერი ფორმით არასათანადო ქცევისკენ, ისჯება ორი ათასიდან (2000) ხუთი ათას (5000) ლარამდე თითოეული შემთხვევისათვის.

20.16 თამაშის მიმდინარეობის დროს მაყურებლის, არაოფიციალური პირის არასათანადო საქციელი, რასაც მოჰყვა თამაშის დროებით შეჩერება ან სრულად შეწყვეტა, ისჯება ჯარიმით ხუთი ათასი (5000) ლარის ოდენობით ან/და შემდეგი თამაშის მაყურებლის გარეშე ჩატარებით. აღნიშნულ დარღვევას განიხილავს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია და დამნაშავის გამოვლენის შემთხვევაში მიიღებს შესაბამის ზომებს.

20.17 გუნდის წარმომადგენლების (მოთამაშეები, მწვრთნელები, მწვრთნელთა თანაშემწეები, სამედიცინო პერსონალი და გუნდის სხვა თანმხლები პირები) მიერ  სოციალური ქსელების მეშვეობით მსაჯების მიმართ შეურაცხყოფის ფაქტებს, მათ შორის აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე აღნიშნული პირების ან/და კლუბის მიმართ გასატარებელ პასუხისმგებლობის ზომებს (ფინანსური და სპორტული) განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია საკუთარი შეხედულებისამებრდა აწესებს  ჯარიმას 5000დან 10.000ლარამდე.

20.18 სუპერლიგის ეგიდით გამართული მატჩის მონაწილე ორივე გუნდი პასუხისმგებელია, მათი მოთამაშეების, მწვრთნელების, მწვრთნელთა თანაშემწეების, სამედიცინო პერსონალის, გუნდის სხვა თანმხლები პირებისა და გუნდის გულშემატკივრების მიერ იმ სათამაშო დარბაზის, დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის, დარბაზსა და დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ან/და იმ შენობაში განთავსებული ნებისმიერი სახის მატერიალური ქონებისათვის (შემდგომში ,,ქონება“) მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, სადაც დარბაზია განთავსებული. შესაბამისად, სრული მატერიალური პასუხისმგებლობა, დარბაზის, დარბაზში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ან/და იმ შენობისა და იმ შენობაში განთავსებული ქონების დაზიანებაზე ეკისრება იმ გუნდს, რომლის მოთამაშე(ები), მწვრთნელ(ებ)ი,

მწვრთნელთა თანაშემწე(ებ)ი, სამედიცინო პერსონალი, გუნდის სხვა თანამხლები პირ(ებ)ი ან/და გუნდის გულშემატკივრებიც დააზიანებენ ზემოაღნიშნულ ქონებას.
შენიშვნა: წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელია კლუბი და შესაბამისად, აღნიშნული ჯარიმების გადახდის ვალდებულება ეკისრება კლუბს.
შენიშვნა: წინამდებარე თავით (თავი IX) და დებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ჯარიმის ოდენობის, ასევე აღნიშნული ჯარიმების დაკისრების, გაუქმების, შემსუბუქების ან/და გამკაცრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ს.ქ.ე.ფ—ის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია, თუ დებულებით პირდაპირ არ არის მითითებული, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ს.ქ.ე.ფ—ის გამგეობა.

# თავი X. პროტესტი

## მუხლი 21. პროტესტის შეტანის წესი

21.1 პროტესტი ს.ქ.ე.ფ-ის ესტექის დეპარტამენტში  შედის    წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში“ ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
21.2 პროტესტის შემტანი გუნდი ვალდებულია გადაიხადოს წინასწარი თანხა (ბაქი) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლუბს სრულად უბრუნდება ბაქის თანხა, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რჩება ს.ქ.ე.ფ—ში.
21.3გუნდის პროტესტის  განხილვის პირველ ინსტანციას  წარმოადგენს ს.ქ.ე.ფ-ს ესტექის დეპარტამენტი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში განიხილავს პროტესტის მოთხოვნას. საბოლოვო გადაწყვეტილების მიღებამდე რჩება ესტექის მიღებული პირველადი გადაწყვეტილება..
21.4 თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.ქ.ე.ფ-ის გამგეობა. პროტესტის გამგეობის მიერ განხილვის შემთხვევაში ბაქის თანხის ოდენობა იზრდება 700 (შვიდას) ლარამდე. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლუბს სრულად უბრუნდება ბაქის თანხა, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რჩება ს.ქ.ე.ფ—ში.
თავი XI. დაჯილდოება

მუხლი 22. გუნდების, მოთამაშეების, მწვრთნელების და სხვა წარმომადგენლების  დაჯილდოება
22.1 გუნდს, რომელიც სუპერლიგის ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს

22.3 გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწეები და სამედიცინო პერსონალი ჯილდოვდებიან ჩემპიონის „ოქროს" მედლებით, არაუმეტეს 22 (ოცდაორი) კაცისა.
22.4 მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდების მოთამაშეები, მწვრთნელები და სამედიცინო პერსონალი ჯილდოვდებიან შესაბამისად „ვერცხლის" და „ბრინჯაოს" მედლებით, არაუმეტეს 22 (ოცდაორი) კაცისა თითოეულ გუნდში.
22.5 სუპერლიგის საპრიზო ფონდი შეადგენს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს, რომელიც განაწილდება I, II, III და IV ადგილებზე გასულ გუნდებზე შემდეგი პროპორციულობით:
I ადგილი 40%; II ადგილი 28%; III ადგილი 20%; IV ადგილი 12%.

## თავი XII. გარდამავალი დებულებები

### მუხლი 23. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

23.1. ს.კ.ე.ფ—ის გამგეობას სუპერლიგის ჩემპიონატის დაწყებამდე ან/და ჩემპიონატის მიმდინარეობისას უფლება აქვს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს წინამდებარე დებულების ნებისმიერი მუხლი, პუნქტი, პირობა. მათ შორის, შეამსუბუქოს, გაამკაცროს ან/და გააუქმოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნა, ვალდებულება, ფინანსური ან/და სხვა სახის სანქციები.
23.2. დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ს.კ.ე.ფ—ის ოფიციალურ საიტზე (WWW.GBF.GE), სადაც მითითებული იქნება აღნიშნული ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი. ს.კ.ე.ფ—ის ოფიციალურ საიტზე ინფორმაციის განთავსება ავტომატურად ნიშნავს და ჩაითვლება ასეთი ინფორმაციის ოფიციალურად გამოქვეყნებულად.
23.3. სუპერლიგაში მონაწილე ყოველი კლუბი ვალდებულია გაეცნოს, წინამდებარე დებულების 23.2 პუნქტით გათვალისწინებულ, ს.კ.ე.ფ—ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დებულების ცვლილებებს და შეასრულოს და დაემორჩილოს აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
23.4. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია ს.კ.ე.ფ-ის გამგეობის მიერ და ძალაშია მისი ს.კ.ე.ფ—ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

# დამატებები

1. სუპერ ლიგის გათამაშებაში მონაწილე თითოეული გუნდი ვალდებულია ჩემპიონატის ოფიციალურ განაცხადში ჰყავდეს მინიმუმ 2 (ორი) 22-წლამდელი (2003 და შემდეგ წლებში დაბადებული) მოთამაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ გუნდს დაეკისრება ჯარიმა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ გუნდი წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ შეასრულებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით (სატრანსფერო ფანჯრის ბოლომდე), ასეთ გუნდს დამატებით დაეკისრება ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
(დამატების თარიღი 27.08.2024 წ.)

სუპერლიგაში მონაწილე გუნდებმა განაცხადთან ერთად უნდა გამოაგზავნონ გუნდის ყველა მოთამაშის და მთავარი მწვრთნელის ფოტო, ეგრედ წოდებული HEADSHOT, ასევე გუნდის საერთო ფოტოსურათი, რომლებსაც სუპერლიგა გამოიყენებს ბანერების დასამზადებლად და ვებ-გვერდზე. შესაბამისი ქლუბის განყოფილებაში გამოსაქვეყნებლად. თუ განაცხადთან ერთად არ იქნება ფოტომასალა მოწოდებული, მისი მოწოდება შესაძლებელი იქნება შესაბამის ელ-ფოსტაზე, არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი დაჯარიმდება 1500 ლარით.

(დამატების თარიღი 25.09.2025 წ.)